სამართლის სამაგისტრო აკადემიური პროგრამა

უნიკალურობა - სამართლის სამაგისტრო პროგრამა უნიკალურია თავისი შესაძლებლობებით. მის განსაკუთრებულობას პროგრამის შემადგენელი ელემენტები და აკადემიური პერსონალი განსაზღვრავს. პროგრამა ითვალისწინებს სავალდებულო საბაზისო მოდულებს, სავალდებულო პრაქტიკულ კომპონენტს (კლინიკა), სპეციალიზაციის თეორიულ დისციპლინებს, სამართლის დარგის უცხოენოვან სასწავლო კომპონენტს (არჩევით), კონცენტრაციის მოდულს - იგულისხმება სტუდენტის კონცენტრაცია საჯარო, კერძო, სისხლის სამართლისა და საგამოძიებო საქმის მოდულებზე, რაც არ კრძალავს არჩევანს სხვა მიმართულებით, მაგალითად, კონცენტრაცია კერძო სამართალში საჯარო სამართლის ელემენტებით.

ნოვაცია - აღსანიშნავია, რომ ჩვენი უნივერსიტეტის ავტორობით ახალი მოდული შეიქმნა, სახელწოდებით **საგამოძიებო საქმე**. ის ქართულ საგან-მანათლებლო სივრცეში ერთადერთია და მხოლოდ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სტუდენტის არჩევით. ამისთვის უნივერსიტეტს გამორჩეული სასწავლო რესურსი გააჩნია: კრიმინალისტიკის ლაბორატო-რიული ცენტრი, რომელსაც, თავისი ტექნიკური აღჭურვილობით, ანალოგი არ აქვს საქართველოს სინამდვილეში; პროფესურა, რომლის შემადგენლო-ბაშიც FBI სერთიფიცირებული ტრენერები არიან; მოდელირების მეთოდე-ბისა და ქეისმეთოდების გამოყენება სწავლებაში, რაც გამოძიების პრაქტი-კული უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის ყველაზე ეფექტური საშუა-ლებაა...

ადამიანური რესურსი - ჩვენი სამართლის სკოლა გამოირჩევა თავისი აკადემიური და მოწვეული პერსონალით - **მერაბ ტურავა, ზურაბ ძლიერიშვილი, ეკა ბესელია, ვალერი ხრუსტალი, პაატა ტურავა, დევი ხვედელიანი, ელიკო წიკლაური-ლამიხი (გერმანია), დიტერ უმბახი (გერმანია), ნუნუ კვანტალიანი, დავით ძამუკაშვილი, თემურ თოდრია, გიგა გაბრიჩიძე, აგრეთვე, მოქმედი მოსამართლეები და ადვოკატები.**

საერთაშორისო მობილობა - სტუდენტებს საშუალება აქვთ ზოგიერთი სასწავლო კურსი გაიარონ ან განახორციელონ კვლევა ევროპის პარტნიორ უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში. დაფინანსებას, სრულად ან ნაწილობრივ, უზრუნველყოფს უნივერსიტეტი.

კვალიფიკაცია - პროგრამა რეალურად ამზადებს სამართლის მაღალკვალი-ფიციურ, კონკურენტურიან სპეციალისტებს, რომლებსაც თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები აქვთ ჩამოყალიბებული.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

სწავლის საზღაური შეადგენს, წელიწადში, 3300 ლარს.